ჯანო დევაძე

ასე ჩანდა
Monte

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2022

რედაქტორი	თეა ბარამაშვილი
ტექნიკური რედაქტორი	ჯულიეტა ანდღულაძე
კორექტორი	მარინა ჟღენტი
ყდის ილუსტრატორი	ბარბარე მაჭავარიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	მარი ვერულაშვილი

ქართული გამოცემა ©საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022
ჯანო დევაძე ©2022
მისამართი: კოსტავას ქ. 77, თბილისი 0171, საქართველო
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9708-8-7

დაიბეჭდა საქართველოში

სარჩევი

თავი 1 5

თავი 2 15

თავი 3 45

თავი 4 61

თავი 5 119

თავი 6 169

თავი 7 201

თავი 8 211

თავი 1

Rey-Ban-ის „ავიატორი“ მოვიხსენი და უკმაყოფილოდ დავხედე. მეგონა აღარ მომწონდა, არადა, სხვა არასოდეს მიტარებია. ჯიბეში ჩავიდე და უნივერსიტეტის ეზოს გასასვლელისკენ გავაგრძელე გზა. ჩემს განწყობასა და აქ არსებულ გარემოზე ვფიქრობდი — სტუდენტთა ამ თავშესაფარზე. ჰოდა, ამ ფიქრებში გართულს, გვიანღა გამახსენდა, ლექტორი რომ უნდა მენახა — ლექტორი, რომელიც თითქმის ჩემი ხნის იყო და ვმეგობრობდით. მძულდა ამ ეზოს გავლა, ერთდროულად იმდენი თვალი გამოგხედავდა... ტიპები დილიდან ბარემ ვახშმამდე დაყუდებულიყვნენ და რა კარგი დარი დაიჭირაო, ამაზე ბჭობდნენ.

გადავხედე აქ შეკრებილ სტუდენტებს და შენობაში შევბრუნდი. ცოტა ხნით დალოდებამ მომიწია — არ ეცალა ჩემს ლექტორ-მეგობარს. სხვათა შორის, უნივერსიტეტში სწავლის პირველ ხანებში მასთან ლექციის შემდგომი საუბრები დიდად მეხმარებოდა აქაურობასთან შეგუებაში. მიკვირდა და ცოტა წარმოუდგენლადაც კი მიმაჩნდა მისი ამგვარი დამოკიდებულება — ხშირად მიფიქრია, რა ესაქმება, რა საერთოს ნახულობს კაცივით ბავშვთან-მეთქი. არადა, ალბათ ხედავდა ჩემში იმას, რაც ასაკითა და სტატუსით კი არა, შინაარსით, მოვლენათა აღქმისა და დამოკიდებულებების თავისებურებით, ანდა შეხედულებათა თანხვედრით განისაზღვრება. ჰო, კიდევ ის, რომ ალბათ ჩემს მომავალსაც ხედავდა — წარმოედგინა და დარწმუნებულიც იყო, რომ რა-

ღაც განსაკუთრებული მელოდა. მაგრამ ახლა თი-თქოს ყველაფერი შეიცვალა, თითქოს კი არა, უბე-დურება ისაა, რომ გული საერთოდ აღარ მიმიწევ-და მისკენ. ღმერთმანი, საოცრად ჭკვიანი და კარგი ადამიანი იყო, მაგრამ რატომღაც გამიჭირდა ურთი-ერთობა და ახლა ისიც აღარ ვიცოდი, საერთოდ ღი-რდა თუ არა მასთან საქმის დაჭერა. არ ვიცი, ამის მიზეზი კონკრეტულად რა იყო, მაგრამ ერთ რამეს მივხვდი და არ მესიამოვნა: რატომღაც ჩემი კურსე-ლი კოკო არ მოუვიდა თვალში. ისეთ დამოკიდებუ-ლებას ავლენდა, კინაღამ მომათავა ამას წინათ. ისე უყურებდა, როგორც ვინმე მახინჯს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კოკო ნახევრად რუსი იყო. რუსები დი-დად მეც არ მიყვარს, თუმცა კოკოს ამბავმა, ცოტა არ იყოს, შემაწუხა.

მაშინ იყო, რომ მთხოვა დარჩიო და მეც ამაზე საინტერესოზე რაზე უნდა მელაპარაკა. რაღა თქმა უნდა, ზრდილობიანად და კორექტულად გადმო-სცემდა სათქმელს, ისე, როგორც ლექტორს შეშ-ვენის, თუმცა მისთვის პრინციპულ საკითხზე მაინც თავი გამოიდო. ტიპს ვერ აუხსნიდი, რომ ყველა რუსი ერთნაირი არ არის. 2008 წლის ომის თემას უტრიალებდა. ჩემი ლექტორი გორიდან იყო და რუ-სეთისა და რუსებისადმი მისი დამოკიდებულების მიზეზები ერთდროულად სუბიექტურიც იყო და ობიექტურიც — იმის დავიწყება, რაც რუსეთმა სა-ქართველოს გაუკეთა, წარმოუდგენელია, მაგრამ ამ დამოკიდებულების დაყვანა ყოფით და პირადი

ურთიერთობების დონემდე ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენებოდა. იმასაც ვფიქრობდი, რომ მან იმ ომის მერე ვერ მოახერხა ახალი ცხოვრების დაწყება და თუ ბოღმა გახრჩობს, ბოლოს და ბოლოს, ადექი და რუს სამხედროებს, პოლიტიკოსებს დედის ტრაკი აგინე, მაგრამ დურგლებმა, მეწაღეებმა, მშენებლებმა და, მით უმეტეს, სტუდენტებმა, რა დააშავეს? მისი ეს პატრიოტული და თან ხანგრძლივი სიჯიუტე საერთოდ აცდენილი იყო პროგრესული აზროვნებისა და დამოკიდებულებების სტანდარტებს და ამიტომ მისი პოზიცია მოძველებულად მიმაჩნდა. ვფიქრობდი, რომ სწორედ შემწყნარებლობა და მიტევებაა ცივილიზებული სამყაროს არსებობის გახანგრძლივების საფუძველი და არა ბიტკოინებზე საუბარი.

ვხვდები, სიძულვილი არასოდეს ბეზრდება კაცს და ეს მაშინ მასთან საუბრისას კარგად ვიგრძენი. არ მიყვარს ეს რადიკალური გადაწყვეტილებები. მიუღებლად მიმაჩნია ადამიანის ათვალწუნება მისი ეროვნებისა და წარმომავლობის გამო, მით უმეტეს, იმ ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლების, რეჟიმის დანაშაულისთვის პასუხის მოთხოვნა რიგითი ადამიანისთვის, ვისაც თავადაც არ მოსწონს და გამოექცა ამ ყველაფერს. ფაშიზმის გამო ყველა გერმანელს ხომ არ შევიძულებთ? ან როგორ წარმოგიდგენიათ, ჰიტლერის რეჟიმს გაქცეული რემარკი და თომას მანი უცხო ქვეყანაში სიძულვილის ობიექტები ყოფილიყვნენ მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანუ-

ლი წარმომავლობა ჰქონდათ? ეს ხომ აბსურდია? ასე განვიხილავდი ახლა კოკოს ამბავსაც, რადგან თავის დროზე მისი მშობლები სწორედ რუსულ რეჟიმს გამოექცნენ საქართველოში.

— ვფიქრობ, ვერასოდეს დავასრულებთ მტრობას, თუ ვიღაცის დაშვებულ შეცდომებზე პასუხს ყოველ მომდევნო თაობას მოვთხოვთ, — ვუთხარი მაშინ ჩემს ლექტორს და იცით, რა თქვა?

— შენც რომ შეგხებოდა ის, რაც მე გადავიტანე, არასოდეს დაიწყებდი მიზეზების ძებნას ე.წ. რიგითი რუსის შესაცოდებლად. ადამიანი მხოლოდ ერთი მიზეზით შეიძლება შეიძულო სამუდამოდ: როცა ის ვიღაც შენი ცრემლისა და უბედურების მიზეზი ხდება. ალბათ არ გინახავს დაჩოქილი, ატირებული კაცები, ატირებულ შვილებს რომ ვერ შველიან, თორემ ამას ვერ დაივიწყებდი და არც ასე ილაპარაკებდი.

ღმერთმანი, ამის გაგონებაზე მართლა ისე მომეწურა გული, მსგავსი რომ ვნახო, რუსი კი არა, ადამიანის მოდგმა შემძულდება ალბათ–მეთქი, გავიფიქრე.

დიდად წამურტლული თემა იყო საკამათოდ და განსახილველად. აბა, ან ის როგორ მეთქვა, მე არაფერი შემხებია–მეთქი, როცა ჩვენი სახლების თავზეც დაფრინავდნენ რუსული ბომბდამშენები და ღმერთმა უწყოდა მხოლოდ, ჩამოგვაყრიდნენ თუ არა თავზე ჭურვებს.

— მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, განა არ შეიძლება ერთდროულად გძულდეს რუსეთი და გიყვარდეს რუსი?

— ყველა რუსი, როცა ის აზროვნებას იწყებს, თავის თავში რუსეთს ეძებს, ე.წ. ველიკაია დერჟავას, დამპყრობელსა და სხვათა გამანადგურებელს.

აღარ შევწინააღმდეგებივარ და ეს დღე ერთერთი მიზეზი იყო, რომ ფეხი ამომეკვეთა მისგან. თუმცა კიდევ იყო ერთი მიზეზიც. საკმაოდ ძნელ და უსიამოვნო საქმეზე მიმიჩინა ადგილი. ეს იყო სტაჟირება უმცროსი იურისტისთვის, რომელიღაც სარეკლამო კომპანიაში, რაც, როგორც ვხვდებოდი, მისი ნაცნობისა თუ მეგობარის იყო. როგორც კი ოფისის შესასვლელთან მივედი, აუტანელი გახდა ჩემი იქ ყოფნა და ამიტომაც გამიჩნდა სურვილი იმწამსვე წამოვსულიყავი.

ახლაც ვიცოდი, რაზე უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ სულერთია, არც იმ ოფისში მინდოდა მისვლა და ეს ჭკვიანური დიალოგებიც მეზედმეტებოდა უკვე. კოკოსაც ვერ დავკარგავდი ამის გამო.

აუდიტორიაში რომ შემოვიდა, ვიგრძენი, ხელები გამიოფლიანდა და ჩემს თავზე გავბრაზდი. ღიმილით მომესლამა და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა. ცოტა ხანს არაფერი უთქვამს, ტელეფონში ჩარგო თავი და მერე მომიბრუნდა და მითხრა, ასე არ უნდა მოქცეულიყავიო.

— რა გინდა, საზღვაო ფლოტში მოხვდე?

დავიძაბე, ღმერთს გეფიცები, სულ ოფლი მასხამდა. დამნაშავესავით მივაყარე:

— არ ვიყავი ამისთვის მზად. არ მინდოდა თავი დამცირებულად მეგრძნო.

— დამცირებულად? — გაკვირვებით გამომხედა და ტელეფონი პიჯაკის ჯიბეში ჩააცურა.

— ოჰ, კარგით რა. რეალური დასაქმების დაპირება მაინც არ იყო და არ მინდა, გთხოვთ. მოვრჩეთ ამ საკითხზე საუბარს.

— კარგი, — მოკლედ და რაღაც კეთილგანწყობით თქვა. მერე მხრები აიჩეჩა და შემომცინა, — შესაძლოა იმუშავო-მეთქი.

— სწორედ ეს „შესაძლოა“ და დროის დაკარგვა არ მინდა.

— „შესაძლოა“ არ იცი, რას ნიშნავს? — თქვა და მაგიდიდან ჩამოვიდა. — ხალხს გაინცობ, საქმესაც და მერე ბევრ სხვა რამეშიც წარმატებული იქნები. თითო წარმატებული ნაცნობი თითო პერსპექტივას უდრის.

— მე... მოკლედ, არ მინდა საკუთარ თავთან ჰარმონია დამერღვეს. ჩემი ოცნებები და გეგმები მაქვს, სრულიად განსხვავებული... გესმით?

— როგორ არ მესმის, მაგრამ იქნებ ხვალ მაინც მისულიყავი? ეს შენს ოცნებებს რას უშლის? ბო-

ლოს და ბოლოს, წარსული ხომ მაინც უნდა შექმნა ადამიანმა.

არაფერი მიპასუხია. ბოლო წინადადების აზრს მთლად კარგად ვერ მივუხვდი და უკმაყოფილოდ მოვავლე ცარიელ სკამებს თვალი.

— ისე, როგორი საქმე მოგწონს, რისი გაკეთება გინდა?

— როგორ თუ, როგორი საქმე მომწონს?

— არ იცი, საქმე რა არის?.. იმას, რაზეც ოცნეობ, რისი გაკეთებაც გინდა, კონკრეტული სახელი უნდა ჰქონდეს.

— კარგად ვერ მივხვდი კითხვას.

— ღმერთო, შენ მიშველე, — გაიცინა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, — სწორი მიმართულება თუ არ გაქვს, რაც უნდა ეცადო, დაიკარგები.

უკვე გამომეტყველება შემეცვალა მოუთმენლობისგან. წასვლა მინდოდა.

— ნებისმიერ საქმეზე რომ გკითხო, ალბათ მეტყვი, ასე და ასე კეთდებაო, მაგრამ წარმოდგენა არა გაქვს, ეს თავად როგორ უნდა გააკეთო. აი, ამიტომაა სამსახური კარგი, ზოგადად საქმის შესრულებას ისწავლი. ნებისმიერი საქმის... გგონია, აქ თუ კარგად ისწავლი, წიგნებს თავს დააკლავ, კარგ ქულებს მიიღებ, ყველაფერი გამოგივა? — მერე წამით დაფიქრდა და დაამატა: — ისე არ გაიგო, რომ

სწავლა არ არის საჭირო, ეს უპირველესია, მაგრამ მხოლოდ თეორიული ცონდა არ არის იმის გარანტია, რომ ამით ყველაფერი გამოგივა.

— ისედაც გულაცრუებული ვარ და ახლა თქვენ კიდევ დამიმატეთ, — ვთქვი და, როგროც კი წამოვდექი, ზურგი შევაქვციე, — თქვენ ბედისწერის გჯერათ?

ცოტახანს არაფერი მიპასუხა.

— გამართლებას თუ გულისხმობ, შენ უკვე გაგიმართლა, რომ სწავლის შესაძლებლობა მოგეცა. კარგი... მოკლედ, ვფიქრობ, რომ იმ საქმეზე უნდა გემუშავა, თუნდაც იმიტომ, რომ შენი ყოველდღიურობისგან განსხვავებულია და ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, — პიჯაკზე დაისვა ხელი. მივხვდი, რომ გამომშვიდობებას აპირებდა, — და ორი რამ დაიმახსოვრე კიდევ.

კითხვის გამომხატველი თვალით გავხედე.

— ნუ მოგინდება ღმერთივით შვიდ დღეში შექმნა შენი სამყარო და კიდევ, კარგად უნდა იცოდე, ყოველ ეტაპზე საქმე რასთან და ვისთან გაქვს, რომ ცხოვრება უაზრობად არ გადაიქცეს.